



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №1

2015 წლის 13 იანვარი

ქალაქი ახალციხე

„წყრუთი-ანის საავტომობილო გზის, წყრუთი-ჭვინთა-ელაწმინდის საავტომობილო გზის, სოფელ ზიკილიის საავტომობილო გზის, ქ. ვალეში კულტურის სახლის, ახალციხე-ტატანისი-სვირი-ბოგას საავტომობილო გზის, სოფელ მინაძე-ჭაჭარაქის სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების წინა საპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე“.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნას, „წყრუთი-ანის საავტომობილო გზის, წყრუთი-ჭვინთა-ელაწმინდას საავტომობილო გზის, სოფ. ზიკილიის საავტომობილო გზის, ქ. ვალეში კულტურის სახლის, ახალციხე-ტატანისი-სვირი-ბოგას საავტომობილო გზის, სოფელ მინაძე-ჭაჭარაქის სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების წინა საპროექტო დოკუმენტაცია“.

**მუხლი 2.** განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მეზალიშვილის ქ.#62.)